

# საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №69  
2019 წლის 13 აგვისტო

ქ. თბილისი

**„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის №123 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

## **მუხლი 1**

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის №123 ბრძანებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 23/02/2015, სარეგისტრაციო კოდი – 140130000.22.034.016412) დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გენერალური ინსპექციის უფროსს ჰყავს მოადგილე ან მოადგილეები, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. გენერალური ინსპექციის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას, მინისტრის დავალებით, ასრულებს გენერალური ინსპექციის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.“.

## **მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 13 აგვისტოდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა  
მინისტრი

გიორგი გახარია

